№7 (9902) ◆ ივლისი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

# მიზანი: მთის მოსახლეობის დაფასება და პოპულარიზაცია

ყოველთვის იქნებიან მშვენიერი ადამიანები სოფლადაც და ქალაქადაც. უბრალოდ მათი დანახვაა საჭირო. განსაკუთრებით მთის სოფლებში, მითუმეტეს რაჭაში, რომლის მომრავლებულ გათითოკაცებულ სოფლებში მცხოვრებნი აქაურობის მესაზღვრეებიც არიან, მცველიც და ბატონ-პატრონიც. მთას სტკივა, ცხოვრების პირობები ძნელია, მაგრამ შემორჩენილები სამშობლოს ღალატად, გაქცევად მიიჩნევენ ფესვებიდან მოწყვეტას.

დიახ, მთა მისახედია, აქ მუდმივად მცხოვრებთა (მოზამთრეებს რომ ეძახიან) დანახვა და დაფასებაა საჭირო, რაც **„მთის დღეების“** ტრადიციად დამკვიდრებით დაადასტურა ქვეყნის მთავრობის თავკაცმა, პრემიერ მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**. მან 15 ივლისს, შოვში გამართულ პროგრამის „მთის დღეები“ ფარგლებში გამართული ღონისძიების მონაწილეებს განუცხადათ კიდეც. “მთის დღეების“ მიზანია: მთის მოსახლეობის დაფასება, ჩვენი საგანძურის – უნიკალური ეთნოგრაფიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ხელშეუხებელი ბუნების დაცვა, მოვლა-პატრონობა, ადგილობრივი კულინარიის, ტრადიციების შენარჩუნება, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კუთხის,რეგიონის პოპულარიზაციას და ტურისტებისათვის მიზიდულობის ცენტრად ქცევას“.

ფესტივალის ფარგლებში მთის ერთგულებისთვის და მთის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის დაჯილდოვდნენ ტყის მცველები: **კახაბერ ბერელიძე, გელა ბურჯალიანი, გიორგი ბაბლუანი და დავით შავლაძე**.

ფესტივალზე, რომელსაც ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდა, შეფებმა – **ლევან კობიაშვილმა** და **დიმიტრი შარაშიძემ** კულინარიული მასტერკლასი ჩაატარეს. სტუმრები გაეცნენ მთის კულინარიის ისტორიას, საფესტივალო სივრცეში შედგა ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმთა გამოფენა-გაყიდვა, საზოგადოების ინტერესთა სფეროში იყო მოქცეული ეთნოგრაფიული კუთხეები, გამართული სპორტული აქტივობები, შემეცნებითი ტურები და სხვა ღონისძიებები.

„მთის დღეების“ მუსიკალურ პროგრამაში მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი მუსიკალური ჯგუფები და მომღერლები, როგორებიც არიან: დიჯეი Levi Love Disco, **ნოდარიკო ხუციშვილი** და **ბენდი, მარიამ გალოგრე, ნინი ასილიანი**.

შოვში ღონისძიება გვიან ღამემდე გაგრძელდა, კოცონთან შეკრებილ სტუმრებს მასპინძლობდნენ **ნიკა წულუკიძე, გელა დონაძე** და **კვარტი**.



იმავე დღეს პრემიერ მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ **ირაკლი ქარსელაძესთან**, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს **ლერი ბარნაბიშვილთან**, აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ეწვია რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტს, დაათვალიერა და მოისმინა ინფორმაციები საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. კერძოდ ონში დაათვალიერა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ცაგერში რეაბილიტირებული აგრალური ბაზარი, აღმაშენებლის ქუჩა და ლადო ასათიანის სახელობის სკვერი, ლენტეხში ცენტრალური ქუჩა, მჟავე წყალის ტერიტორია. შეხვდა მიტროპოლიტ სტეფანეს და დალოცა აღდგენილი მაქსიმე აღმსარებლის ტაძარი. ამბროლაურში ა. ვაჩაძის სახელობის საფეხბურთო სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ახლად მოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა (მინი-ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის სტადიონები და ფრენბურთვისთვის განკუთვნილი ქვიშის მოედანი), ბ. ბრეგვაძის სახელობის პარკი, დ. სხირტლაძის სახელობის სკვერი, მდ. კრიხულას სანაპირო ქუჩა. ღვინის საწარმო „მელიტონი“, ბარაკონის ღვთისმშობლის ტაძარს, სადაც უმასპინძლა ნიკორწმინდის ეპისკოპოსმა ვახტანგმა.

პრემიერ მინისტრი, ოთხივე მუნიციპალიტეტში შეხვდა და გაესაუბრა მოსახლეობას. მადლობა გადაუხადათ მთის ერთგულებისათვის, სრულიად საქართველოსთან ერთად მათ უსურვა ქვეყანის მშვიდობა და სტაბილურობა.

# სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და გუნდურობის პრინციპით მუშაობა – პრობლემების დაძლევის გარანტი

სამხარეო ადმინისტრაციაში ქვეყნის სამინისტროების რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებთან გამართულ მორიგ სამუშაო თათბირზე პროფილური სამსახურების უფროსების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების საფუძველზე მსჯელობა ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და შეეხო ჯანდაცვის, განათლების, სოციალურ და სხვა მიმართულებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

აღინიშნა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტოპარკი განახლდა ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში. სასწრაფო დახმარების ავტომობილები შესაბამისია ევროსტანდარტებთან, აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და განკუთვნილია რთულ რელიეფზე გადასაადგილებლად. ინფექციური დაავადებების მხრივ მშვიდობაა მხარეში, მალე ამბროლაურის საავადმყოფო რეაბილიტირებულ-აღჭურვილი სრულფასოვნად განაახლებს ფუნქციონირებას, მაგრამ ავტოპარკის განახლების საკითხი კვლავ აქტუალურია და, რაც მთავარია, ისე უნდა მოგვარდეს საკითხი, რომ მაღალმთიან სოფლებში გზებზე გადმოსული ხეების ტოტები არ უნდა აბრკოლებდეს სასწრაფოს მანქანების გადაადგილებას.

გარემოს დაცვისა და სატყეო საქმიანობასთან დაკავშირებით მსჯელობისას ითქვა, რომ ზამთრისათვის საშეშე მერქნით მომარაგების პროცესები გრძელდება და ამ მხრივ მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნება, მაგრამ ისევ მოსაგვარებელია ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგების საკითხი. ასევე, რადგან სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში დაინერგა ე.წ. „ბრიკეტების“ სიახლე, საჭიროა შესაბამისმა სამსახურებმა იზრუნონ სპეციალური ღუმელების შეძენაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი ხარჯები. საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება: მოხდეს გამოტანა და საშეშედ დასაწყობება იმ ხეებისა თუ ტოტებისა, რომელთა გაკაფვა-ჩახერგვა-მიტოვებას ახდენს, ელექტროგადამცემი ხაზების განთავისუფლების მიზეზით „ენერგო პრო ჯორჯია“ (შეშა გადაეცემა სოციალურად დაუცველ პირებს).

თათბირზე სურსათის ეროვნულ სააგენტოს მიეცა მითითება, რომ გეგმიურთან ერთად, სისტემატიურად მოახდინოს ნებისმიერი სავაჭრო, განსაკუთრებით ქსელური მარკეტების შემოწმება, რადგან ადგილი აქვს ვადაგასული პროდუქტებით ვაჭრობის ფაქტებს. ასევე მკაცრ კონტროლს საჭიროებს და სერიოზულადაა მისახედი ბაზარის საკითხი. მსჯელობა შეეხო ისეთ თემებს, როგორიცაა: სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამა, დაცული ტერიტორიები, ანარჩენების გატანა, სტაჟირება, ტურიზმი და სხვა.

შეხვედრაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ გადადგმულია სერიოზული ნაბიჯები მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო და ზოგადად, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება-ხელშეწყობის კუთხით. მოძრავმა იუსტიციის სახლებმა გაადვილა პრობაციონერთა რეგისტრაციის საკითხი. ქვეყნის მასშტაბით გახსნილ 24 საგამოცდო ცენტრს, პირველად რეგიონში, შეუერთდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით სოციალური მიმართულებით მიღებული სიახლე შეეხება რეგიონში მაცხოვრებელ სოციალურად დაუცველ ბავშვებსაც და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით დაგეგმილია საინტერესო კულტურული ღონისძიებები.

მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა **პაპუნა მარგველიძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა იმ პრობლემის დაძლევის გადაჭრაში, რომელიც არსებობს რეგიონში, დიდია ადგილობრივი თვითმმართველობების როლი. შესაბამისად მუნიციპალიტეტებისა და სტრუქტურული სამსახურების ხელმძღვანელთა ყურადღება გაამახვილა პრობლემატური საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი აზროვნებით მიდგომასა და გუნდურობის პრინციპით მუშაობის აუცილებლობაზე.

## ქრონიკა

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილედ დაინიშნა **ბერდია ჩანქსელიანი**, რომელიც 2021 წლიდან 2023 წლამდე იკავებდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პოზიციას.

ბერდია ჩანქსელიანი პროფესიითსამართალმცოდნეა, დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრის ხარისხით. ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპათმცოდნეობის ფაკულტეტი და მინიჭებული აქვს სახელმწიფო მართვის სპეციალობით მაგისტრის ხარისხი, ასევე ფლობს ბალტიის საერთაშორისო აკადემიის ბიზნესის და ადმინისტრირების ფაკულტეტზე – მენეჯმენტის სპეციალობით მაგისტრის ხარისხს.

აქვს მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება როგორც საჯარო სამსახურში, ისე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ინფორმაცია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მორიგ 43-ე სხდომაზე დეპუტატებმა მოისმინეს ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გაწეული საქმიანობის შესახებ. დაამტკიცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა აგრეთვე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის №27, 2023 წლის №01 და №02 განკარგულებებში.

**ველევის** ტერიტორიულ ერთეულში ქვემო რაჭის მთის ზონის ოთხი ულამაზესი სოფელი შედის: კვირიკეწმინდა (ყოფილი კორტი), ველევი, ბეთლევი და შხივანა. სამწუხაროდ ველეურას ხეობის, მთების საწალიკის, ხიხათის, მდიდარი ფლორისა და ფაუნის, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს გარემოცვაში დღეს მხოლოდ 100-მდე მუდმივი მაცხოვრებელი სახლობს და მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა ცდილობენ არ მოშალონ მამა-პაპისეული კერა, სიცოცხლე შეუნარჩუნონ ამ ულამაზეს სოფლებს. ამისათვის წლებია ითხოვენ მხოლოდ და მხოლოდ გზას. გზას,რომელიც ფაქტიურად წლის უმეტეს დროს გაუვალია დიდთოვლობისა თუ მეწყრული მოვლენების მიზეზით. აქაურები ერთ დროს ხალხმრავალი სოფლების დაცლის ძირითად მიზეზად სწორედ უგზოობას ასახელებენ.

ბოლოსდაბოლოს მათ ოცნებას ფრთები შეესხა. გზის მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დაიწყო. 8,4 კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგება ბეტონის საფარი, რაზედაც დაიხარჯება 6344996,66 ლარი. სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს შპს „ტექნოლოგი“ და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ აყვანილია განსაკუთრებულ კონტროლზე.

მუნიციპალიტეტში „მთის ფონდის“ დაფინანსებით მიმდინარე წელსაც სერიოზული პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი. მათ შორისაა სოფელ **იწაში** შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სადაც სამუშაოები უკვე აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტის სრული ღირებულება 1 180 000 ლარს შეადგენს. გარდამავალია და სამუშაოები სამ ეტაპად განხორციელდება. მიმდინარე წელს გზის რეაბილიტაციაზე 500 000 ლარი დაიხარჯება და ორ კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი.

სამუშაოები სრულად 2024 წელს დასულდება.

## ძლიერი სოფელი–ძლიერი ფერმერი

ამ რუბრიკით მკითხველს დღეს გავაცნობთ ბატონ **დიმიტრი დავლიანიძეს** არა როგორც მერის წარმომადგენელს სხვავის ადმინისტრაციულ ერთეულში არამედ, როგორც ფერმერს. პიროვნებას, რომელმაც ქალაქში კომფორტულ თუ სოფლის მძიმე პირობებში ცხოვრებას შორის არჩევანისას უპირატესობა სოფელს მიანიჭა. ამით ბევრისათვის იმის მაგალითადაც იქცა,რომ დატვირთულ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად შეიძლება ადამიანი რეალიზებული იყოს სხვა სფეროშიც.

სოფლის მეურნეობის არცერთი დარგი არაა უცხო დიმიტრი დავლიანიძისათვის, მაგრამ რამდენადაც სხვავაში მეცხოველეობის განვითარებისათვის უფრო მეტი შესაძლებლობებია და გამოცდილებაც გააჩნდა, ამიტომ არჩევანი მასზე შეაჩერა და არც შემცდარა. 2000 წლიდან ამ სფეროშია, მაგრამ წარმატებულ ფერმერად მაინც 2020 წლიდან ითვლება. თავად განსაჯოს მკითხველმა.

დღეს 30 სულის ტევადობის მის მეცხოველეობის ფერმაში 25 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია განთავსებული. მათ შორის 25 მეწველი ფური, რთული და შრომატევადია მათი მოვლა-გამოკვება, მაგრამ სწორად დაგეგმილი დღის რეჟიმით, გადანაწილებული ფუნქციებით მეუღლის – იამზეს და ვაჟის – გიორგის თანადგომით წარმართული საქმიანობა თავის შედეგით დაღლას ანეიტრალებს, ოჯახს ეკონომიურად აძლიერებს. რაც მთავარია, საკუთარი შრომით მოპოვებული ლუკმა გემრიელია. ამასთან ასეთი ოჯახი ავტორიტეტთან ერთად ირგვლივ მყოფთათვის გადამდები მაგალითიცაა და სოფლის იმედიც.

ოჯახი ყოველწლიურად აწარმოებს 800–850 კილოგრამ ყველს, 500 ლიტრაზე მეტ რძეს, 3,5 ტონა ხორცს. რეალიზაციაზე პრობლემა არ აქვს. ადგილობრივ ბაზარზე სხვაველი ფერმერის ნაწარმოებ მეცხოველეობის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილებაა.

ბატონი დიმიტრი აგროფესტივალების აქტიური მონაწილეცაა. ოჯახის ნაწარმი პროდუქტებისადმი გამოვლენილი ინტერესი კიდევ უფრო დიდი სტიმულია იმისთვის, რომ გაზარდოს სულადობა, გააფართოოს წარმოება. მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისი სერთიფიკატი და რძის პროდუქტები გაიტანოს ექსპორტზე.

დარწმუნებული ვართ, დავლიანიძეების ოჯახი ამას შეძლებს.

# ქვეყანაში მეცხრამეტედ, ამბროლაურში პირველად

ქვეყანაში წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები მეცხრამეტედ გაიმართა სხვადასხვა საგამოცდო ცენტრებში. მათ შორის პირველად რეგიონში – ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გახსნილ საგამოცდო ცენტრში. ე.ი. გამოცდების ჩასაბარებლად რაჭიდან სხვა ქალაქებში წასვლა აღარ არის საჭირო, რაც აბიტურიენტებს და მათ მშობლებს აძლევთ, როგორც დროის ისე ფინანსური რესურსის დაზოგვის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ წელს ეროვნულ გამოცდებს 45 000-ზე მეტი აბიტურიენტი აბარებდა.მათ შორის 120-მდე ამბროლაურის საგამოცდო ცენტრში დარეგისტრირებული. სამ ივლისს, პირველი გამოცდის წინ (ქართულ ენასა და ლიტერატურაში) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, პირველ მოადგილესთან – **ქრისტინა კობახიძესთან**, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილესთან – **ლევან საბაურთან** ერთად ეწვია ამბროლაურის საგამოცდო ცენტრს, აბიტურიენტებს მიულოცა გამოცდების დაწყება და უსურვათ წარმატებები. გამოთქვა იმედი იმისა, რომ ამჯერადაც მომზადების მაღალ დონეს გამოავლენენ რეგიონის წარმომადგენლები.

როგორც პირველ, ისე შემდგომ დღეებში სხვადასხვა საგნებში მიმდინარე გამოცდების პერიოდში შექმნილმა მშვიდმა გარემომ, შესაბამისი სამსახურების ორგანიზებულობამ, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გამოვლენილმა ყურადღებამ, განაპირობა ეროვნული გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარება, რასაც სპეციალისტების მიერ პირველი წუთებიდანვე მიეცა მაღალი შეფასება.

გამოცდებით კმაყოფილი აბიტურიენტები მშვიდად ელოდებიან შედეგებს.ვუსურვებთ მათ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, არჩეულ ფაკულტეტებზე, სტუდენტის ამპლუაში სწავლის გაგრძელებას,ხოლო მშობლების საერთო პოზიციას მკითხველს ვთავაზობთ აქვე.

**ნათელა გაგნიძე** – მრავალშვილიანი დედა ვარ ონის მუნიციპალიტეტიდან. ვიცით შრომის ფასი და არც არაფერი გვაკლია ოჯახში. ამიტომ მშობლები ვყოყმანობდით და საბუთების შეტანისას უპირატესობას მაინც თბილისს ვანიჭებდით,მაგრამ თვითონ შვილი აღმოჩნდა პრინციპული. ვზივარ ახლა აქ, მის სიტყვებს ვიმეორებ, შინაურ ატმოსფეროში,სხვა მშობლებთან ერთად და ვხვდები,რომ ჭკუით გვაჯობა.რამდენ ხარჯს, ნევრიულობას ავცდით.ნიჭიერია ჩემი გიორგი.ვიცი გახდება სტუდენტი და როგორც მოქალაქე გამოადგება ქვეყანას. ყველა აბიტურიენტს ვუსურვებ წარმატებას.

არა აქვს მნიშვნელობა გუბერნატორია, დეპუტატი თუ სხვა, ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც ამბროლაურში საგამოცდო ცენტრის გახსნით ჩვენებურთა მრავალწლიანი სურვილი რეალობად აქცია.

**ნინო მელაშვილი** – ვიცოდი, სამხარეო თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, წლებია მიმდინარეობდა საგამოცდო ცენტრის გახსნაზე ზემდგომ ორგანოებში მუშაობა და კარგია, რომ მცდელობას შედეგი მოჰყვა. არ მჯერა, რომ აქ – ამბროლაურში, შესანიშნავ პირობებში მიმდინარეობს ეროვნული გამოცდები და ვგულშევმატკივრობ არა მარტო ჩემს შვილს – ლექსო მუსელიანს, არამედ იქ მსხდომ აბიტურიენტებს. წარმატებას ვუსურვებ მათ, ხოლო მშობლების სახელით მადლობას ვეუბნები ყველას, ვინც ჩვენი რეგიონის მოსახლეობისათვის ასე მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარა. ნეტა უმაღლესი სასწავლებლების ფილიალებიც ამოქმედდებოდეს და ახალგაზრდობა მიგრირებულ მხარეს კი არ მოწყდებოდნენ, არამედ ფუძეს გაუმაგრებდნენ.

# თბილები და ჭკვიანები

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება მათი განვითარებისათვის რომ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ამას მკითხველისათვის ახსნა- განმარტება არ სჭირდება. ამიტომ მისასალმებელი და დასაფასებელია ის ღონისძიებები, რაც ამ კუთხით ხორციელდება ქვეყანაში და შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სადაც ცხოვრობს სხვადასხვა ჯგუფის 400-მდე შშმ პირი. მათგან ათი სადმელის მრავალფუნქციური ცენტრის ბენეფიციარია და თვლიან, რომ ინკლუზიური ცენტრი მათთვის თბილი ოჯახია. ოჯახურ გარემოს კი მათ უქმნიან ცენტრის წამყვანი სპეციალისტი **ლია დარახველიძე**, სპეცმასწავლებლები **თეონა აბუთიძე, ინგა გორდეზიანი** და ფიზიო პროცესების სპეციალისტი **ნანა ლომთაძე**.

როგორები არიან ისინი? ცენტრის წამყვანი სპეციალისტის განცხადებით: საოცრად თბილები, უბოროტოები და ჭკვიანები. მართლა ისეთი გარემო გვაქვს შექმნილი, რომ შაბათ-კვირაც კი აქ უნდათ ყოფნა, მითუმეტეს, რომ თავიანთი შრომის შედეგიც ახარებთ. სათბურში საკუთარი კეთილი ხელებით დარგულ-გახარებული კიტრის მოსავლის რეალიზაცია დაიწყეს. მიღებული თანხით კი შეიძენენ იმას რასაც თვითონვე ისურვებენ. ერთნაირად გვიხარია სტუმრების მიღება და შექება. სულ მალე ახალი წევრები შეგვემატებიან და ასე ერთად გავაგრძელებთ საინტერესოდ ცხოვრებას თბილ და დიდ ოჯახში.

მათ სტუმრობდნენ და შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე მიულოცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **თამარ ქევანაშვილმა**, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა **მარიკა დვალმა**. ცენტრის თანამშრომლებისგან მათ ასევე მოისმინეს ინფორმაციები მიმდინარე საქმიანობის, არსებული საჭიროებებისა და სამომავლო აქტივობების შესახებ, დაათვალიერეს ბენეფიციართა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები და ცენტრის ტერიტორიაზე არსებული ბიო სათბური, სადაც ბენეფიციარები ჩართულნი არიან ერგო-თერაპიაში.

აღსანიშნავია, რომ სადმელის მრავალფუნქციური ცენტრის გარდა, მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ფუნქციონირებს შშმ ბავშვთა დღის ცენტრი „ბაო“, ასევე ხორციელდება სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამები. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაიცემა ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 და 200 ლარის ოდენობით, 0-დან 18-წლამდე ასაკის შშმ პირებზე კი გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 300 ლარის ოდენობით.

# ჩვენ გვწერენ, გვირეკავენ

*მივეჩვიეთ, რომ მკითხველები გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გავრცელების შემდეგ გვიკავშირდებიან. მათი ნაწილი გვაქებს, რომ კვლავ გამოვდივართ და ვარსებობთ (რაც ჩვენთვის დიდი სტიმულია). ზოგიც ჭკუას გვარიგებს და გვთხოვს სკანდალური ინფორმაციით დავტვირთოთ ნომერი, ზოგიც გვსაყვედურობს, რომ ნაკლებად კრიტიკულები ვართ... რას ვიზამთ, ყველას მოსაწონები ვერ ვიქნებით. რის საშუალებასაც იძლევა გაზეთის ფორმატი და პერიოდულობა, ვიქცევით ისე. ამასთან აღარ გვინდა ყოველ ნომერში იმეოროთ ერთი და იგივე. გაზეთის დანიშნულება და მიზანია მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე მოსახლეობას მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია. სახელწოდებიდან გამომდინარე არავითარ შემთხვევაში ყვითელი პრესის ელემენტების დამკვიდრება. ეს შეხსენებისთვის ახლა კი ძირითადზე.*

ბუნებრივია, გაზეთის ბოლო ნომრებთან დაკავშირებითაც მივიღეთ შენიშვნები. მათგან მხოლოდ ორზე ჩავთვალეთ პასუხის გაცემა საჭიროდ, რადგან შეცდომების გამოსწორების თხოვნას უფრო ჰგავდა, ვიდრე საყვედურს.

პირველი უკავშირდება გაზეთის ბოლო ნომერში (№5–6) მე-5 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილს „სად მიდიან მართლა სიყრმის მეგობრები“... რომელშიც რედაქტორების ჩამონათვალში არაა მოხსენიებული ირაკლი სოხაძე. არადა დედანში ნამდვილად იყო. ონლაინ რეჟიმში დაკაბადონებული გვერდის კორექტირებისას ვერ შევამჩნიეთ, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით შთამომავლობას და ქედს ვიხდით მათი წინაპრის ხსოვნის წინაშე.

დიახ, 1938–1941 წლებში გაზეთის „კომუნარი“ რედაქტორი იყო ირაკლი სოხაძე, წარმოშობით გაღმა ბუგეულიდან. მიუხედავათ იმისა, რომ, მას სხვა პოლიგრაფისტების მსგავსად იცავდა ჯავშანი, მაინც მოვალეობად ჩათვალა სხვებთან ერთად ებრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, მეორე მსოფლიო ომში, რომელიც მაშინ ყველა ჯარისკაცისთვის სამამულო ომი იყო და მასში მონაწილეობა ღირსების საქმედ ითვლებოდა. იგი თანამებრძოლებისათვის როგორც რიგითი ჯარისკაცი, ასეულის კომისარი და პოლიტხელი იყო მაგალითის მიმცემი და გმირულადაც დაიღუპა ქერჩში ერთ-ერთ უთანასწორო საბრძოლო მოქმედების დროს. ფრონტის სარდლობის სამძიმრის ბარათთან ერთად გადმოგზავნილი პარტბილეთი რელიქვიად შემოუნახა მეუღლემ 3 შვილს, 81 წლის შემდეგაც რომ უფრთხილდებიან წინაპრის სახელს. ვაჟის – კარლოს შთამომავალი კვლავ ახმიანებს მამა-პაპისეულ კერას გაღმა ბარეულში, ხოლო ნორასა და ლილის მონაგარი მყარად არიან ფესვგადგმული ბუგეულში, ჭყვიშსა და ამბროლაურში.

უფალმა ამრავლოთ.

მეორე გაზეთის მე-4 ნომერში გამოქვეყნებულ მილოცვას ეკუთვნის. გაბრაზებული ტონით ჩვენთან მოსაუბრემ გვითხრა: მილოცვა კი არა სტატია დაბეჭდეთ მასზე, ისიც არ იცით, რომ ნიჭიერი მხატვარიაო. დამნაშავედ ნამდვილად არ ვთვლით თავს, მაგრამ გაკითხვით მართლა გავიკითხეთ და აქვე გთავაზობთ შენიშვნაზე (ზურაბ მხეიძის დაუკითხავად) ჩვენი შტატგარეშე კორესპოდენტის მომზადებულ პასუხს.



არ ვიცით, როდის დაუმეგობრდა (ალბათ ბავშვობაში) ქაღალდსა და ფანქარს, მაგრამ ბედნიერი რომ ხატვის პროცესშია, ეს ფაქტია, ახლაც 71 წლის ასაკში.

არადა, ერთი შეხედვით, ჩეულებრივ ადამიანს შემოქმედების საინტერესო და შეიძლება ითქვას ტკივილიანი გზა აქვს გავლილი.

საინტერესოა იმიტომ, რომ მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში მაშინ ადვილად არ ხვდებოდნენ სოფლის უბრალო, მაგრამ პატიოსან ოჯახში დაბადებულ-აღზრდილი მოზარდები თუ მათ მართლაც მხატვრის ნიჭი ბუნებისგან დაბერტყილი არ ჰქონდათ. მას აღმოაჩნდა და ამიტომაც გახდა პალიტრა და ფუნჯი მისი ცხოვრების თანამგზავრი.

არავინ იცის ვის რას უმზადებს ბედი. ვერც მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა ზურაბ მხეიძემ განჭვრიტა. რას იფიქრებდა თუ დიპლომს, 200-ზე მეტ, წლების მანძილზე შექმნილ შემოქმედებით ნუმუშებს, ხანძარი წამებში შთანთქავდა და... კიდევ უფრო დიდს, ძვირფასს (რომელმაც მაშინ შეძრა მთელი რაიონი) და რომელსაც მოუშუშებელ ჭრილობად წლებია ტკივილით ატარებს მისი გული.

წლები სწრაფად გარბის, ტკივილი არ ქრება, მაგრამ პასუხისმგებლობაა, ირგვლივ ოჯახია, შვილებია, მტერ-მოყვარეა. საზოგადოებაა რომლის წევრი ხარ. ემორჩილება კიდეც ცხოვრების ამ პრინციპებს. მართალია, ხატვის დროს შეგრძნებას კარგავს და მის ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში ქმნის (უფრო თავისთვის) საოცარ ნიმუშებს, რომლებსაც მხოლოდ ოჯახში მოხვედრილი ადამიანები თუ ხედავენ, თორემ პერსონალურ გამოფენა-გაყიდვაზე არც უფიქრია, თუმცა სამეგობრო წრემ არა ერთხელ შესთავაზა.

ჩვენც ასე სხვებისგან შევიტყვეთ. ამიტომ მადლობა მკითხველს ინფორმაციის მოწოდებისა და ხელოვნების ამ დარგის მრავალრიცხოვანი ადამიანების პოზიციის გაცნობისთვის, რომ იხილოს საზოგადოებამ მისი ხელოვნების ნიმუშები.

ბატონო ზურაბ! გაითვალისწინეთ ხელოვნების გულკშემატკივართა სურვილი. დათანხმდით გარემოცვას, რომელსაც ანგარიშს უწევ და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეთ თქვენი შემოქმედების ნიმუშები. არაა აუცილებელი ძვირადღირებულ ჩარჩოებში იყოს ჩასმული. უბრალოდ გაგვაცანი, შეიძლება ყველა ვერ ჩასწვდეს მათში ჩადებულ თქვენს ჩანაფიქრ-აზრს, მაგრამ ხელოვანები ხომ ამოიცნობენ და შეაფასებენ.

გვინდა იყოთ აქტუალური იმ კუთხით, სადაც თქვენ სულიერ სიმშვიდეს პოულობთ.

# ბანაკი „შაორი“ გაიხსნა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ეგიდით  საზეიმოდ გაიხსნა შაორის ახალგაზრდული ბანაკი, რომელიც წელს 768 ახალგაზრდას რვა ნაკადად მიიღებს.

ბანაკის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი**, მინისტრის მოადგილე **ირაკლი გივიაშვილი**, სახელმწიფოს რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში  **პარმენ მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად (დავით) მხეიძე**, სხვა ხელმძღვანელი პირები და ახალგაზრდობის სააგენტოს წარმომადგენლები.

ახალგაზრდული ბანაკი ერთ ნაკადში აერთიანებს 18-25 წლის 96 მონაწილეს, რომლებიც შერჩეულნი არიან  პარტნიორ უწყებებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

ბანაკის მიზანია ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია და ინკლუზია; ახალგაზრდების აქტიური დასვენების ხელმისაწვდომობა; არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა; ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ეროვნული და ევროპული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა; პატრიოტული ღირებულებების წახალისება.

ზაფხული ძალაში შედის და მუნიციპალიტეტში ვიზიტორ-დამსვენებელთა რაოდენობაც დღითიდღე მატულობს. შესაბამისად ხშირად იმართება როგორც ადგილობრივი  ისე მოწვეული კოლექტივების კონცერტები.

ამ მხრივ ნამდვილად დატვირთული აღმოჩნდა ივლისის თვე. ახლახანს მაყურებელმა ოვაციები გაუმართა ცნობილ მუსიკოსს, ფოლკლორისტსა და ტელეწამყვანს – გია ბაღაშვილს, რომელიც მსმენელის წინაშე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა.

საღამოს – „გია ბაღაშვილი და მეგობრები“, რომელიც გაიმართა ა(ა)იპი კულტურის ცენტრის ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ესწრებოდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული – **პაპუნა მარგველიძე**, პირველ მოადგილე **ქრისტინა კობახიძესთან**, მოადგილე – ბერდია ჩანქსელიანთან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერ **ზვიად მხეიძესთან**, მის  მოადგილე **თამარ ქევანაშვილთან**, საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძესთან**, მოწვეულ სტუმრებთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

ქ.  ამბროლაურსი თორაძის სახელობის სამხატვრო სკოლის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა ფესტივალი **„სახიობა რაჭაში 2023“**, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ფოლკლორული, საესტრადო, ქორეოგრაფიული და საგუნდო ანსამბლები. კერძოდ: ტყიბულის, ონის, ზესტაფონის, ამბროლაურის, ახალციხის, ფოთის, ბაღდათის და ქუთაისის მუნიციპალიტეტებიდან.

ღონისძიებას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქრისტინა კობახიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერთან **ზვიად მხეიძესთან** და მერის მოადგილე **თამარ ქევანაშვილთან** ერთად ესწრებოდა.

ფესტივალის დასასრულს მოეწყო „Night Party“ ელექტრონული მუსიკის საღამო, პროექტით „რაჭა ჩემი სიყვარული“ – DJ გადაეცემა. სახელოვნებო სკოლის ქორეოგრაფიული ჯგუფი თიემსი – კოლაბორაციას.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია უთანაგრძნობს მწუხარებაში საკრებულოს წევრს ლევან ჯმუხაძეს დედის
**ნათელა ჯმუხაძის**
გარდაცვალების გამო.

## წარმატებული გამოსვლა

ამბროლაურის კულტურის ცენტრთან არსებულ, 77 წლის ისტორიის მქონე, თეატრალურ დასს  ახლახანს „სიღნაღის თეატრალურ ფესტივალზე“ წარმატებული გამოსვლა ჰქონდა. აღფრთოვანებულმა მაყურებელმა პროფესიონალ ჟიურის წევრებთან ერთად  მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლს **„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“** (პიესის ავტორი თამარ ფხაკაძე, რეჟისორი მამუკა ცერცვაძე).

64 წელიწადი „სახალხო თეატრის“ წოდების მატარებელი კოლექტივისაგან სხვას არც მოელოდა ამბროლაურელი გულშემატკივარი. რეგიონისა  და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა მოპოვებული წარმატებისა და საპატიო დიპლომის დამსახურებისათვის მადლობა გადაუხადეს მსახიობებს, მთელ შემოქმედებით ჯგუფს ფესტივალში მონაწილეობისთვის, გაწეული შრომისთვის და ამბროლაურის თეატრის წარმოჩენისთვის. წარმატებები უსურვეს მათ  მომავალ საქმიანობაში და  აღუქვეს ფინანსური მხარდაჭერის მზაობა.

## ერთად გავატაროთ ზაფხული

ამ სლოგანით, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ქვეყნის მასშტაბით იმართება „მუსიკალური  საღამოები“.

საღამო ქ. ამბროლაურში ჩატარდა აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე პარკში,  სადაც მოწყობილი იყო სხვადასხვა გასართობი სივრცეები, პავილიონებში გამოფენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია. გასართობმა და შემეცნებითმა აქტივობებმა, ფერადმა და  მხიარულმა კარნავალმა განსაკუთრებით გაახარა მოზარდი თაობა.

დაუვიწყარი მუსიკალური საღამო ჯგუფ Killage-ს, ანი კეკუასა და თიკა მახალდიანის კონცერტით დასრულდა.

საღამოს ადგილობრივებთან და მუნიციპალიტეტში მყოფ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი  ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები.

# მაგიდის ჩოგბურთი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა ორი დღე მასპინძლობდა  „რაჭის ღია პირველობას“ გოგონათა და ვაჟთა  შორის მაგიდის ჩოგბურთში.

ტურნირი U11, U13 , U15 ასაკობრივ კატეგორიებში გაიმართა და  პირველობისთვის იბრძოდა  საქართველოს 12 ქალაქის გუნდი.

შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს ამბროლაურელმა სპორტსმენებმა:

U11 ასაკობრივ კატეგორიაში, ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა **დათო კობახიძემ**,

ხოლო U15 ასაკობრივ კატეგორიაში, გოგონებს შორის მეორე ადგილზე გავიდა **ანი მეტონიძე**.

საპრიზო ადგილებზე გასულ თ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ტურნირს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ზაალ მეტრეველთან ერთად ესწრებოდა.

ამბროლაურის სასპორტო სკოლის მიერ  დაწესებული  წარსულში, სასპორტო სკოლის დირექტორების ომარ ბრეგვაძისა და ჯამბულ ქვათაძის სახელობის პრიზები  გადაეცათ დავით კობახიძეს  და ანი მეტონიძეს.


რედაქტორი
დალი
დარახველიძე

*რედაქციის მისამართი:*
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყილაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ.  №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.